



ფესტივალი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი * № 3 (86) 31 მარტი 2014 წელი

თამარ ძოწენიძე
etiudebis festival i 2014

გვ. 2-3

gamomceml oba „kentavris“ axal i wi gnebis prezentacia

გვ. 3

თამარ ქუთათელაძე

isaia fi Toevi

გვ. 4-6

თამარ სიჭინავა, ქეთევან მაჭავარიანი

meqsikuri xel ovnebis gamofena erovnul muzeumSi

გვ. 7-9

მანანა მაჩაბელი, პედაგოგი

fsiqol ogi is gakveTil ebi grZel deba

თეკლე ქაროსანიძე

rogor vaxerxebT konfl iqtidan Tavis daRwevas

გვ. 9-11

თინათინ ემირიძე

poezia

გვ. 11-12

2014 wl is 18-19 ivniss gaimarTeba Teatrisa da kinos universitetis

VII yovel wl iuri samecniero konferencia

გვ. 12





etiudebis festival i 2014



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან ერთად, 27 მარტს, თეატრის საერთაშორისოდღეს, ეტიუდების ფესტივალით აღნიშნავს.

ფესტივალს საფუძველი ჰერ კიდევ 2008 წელს ჩაეყარა და მისდამი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რასაც ამტკიცებს მუდმივი ანშლაგები ფესტივალის მიმდინარეობისას.

წელს ფესტივალს ერთდღიანი იყო. ფესტივალის პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში, თეატრალური უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრის“ მიერ გამოცემული წიგნების გამოფენაც მოეწყო.

საღამომ მღელვარებით და მსურვალე აბლოდისმენტებით ჩაიარა. ნაჩვენები იყო 14 ეტიუდი, აქედან 6 – სარეჟისორო და 8 – სამსახიობო. ხოლო გამარჯვებული ეტიუდები ფესტივალის ჟიურიმ გამოავლინა. წელს ფესტივალის ჟიური შემდეგნაირად დაკომპლექტდა:

1. თეატრმცოდნე – თამარ ცაგარელი;
2. კინორეჟისორი – ოთარ ლითანიშვილი;
3. დრამის რეჟისორი – ვანო ხუციშვილი;
4. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი – ნინო დუმბაძე;
5. თუმანიშვილის თეატრის მსახიობი – გიორგი ნაკაშიძე;

ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა რამდენიმე ნომინაციაში:

1. საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – არლეკინი და 300-ლარიანი ფულადი პრემია გადაეცა I კურსის სტუდენტს – ლევან სალარიძეს;
2. საუკეთესო მსახიობი ქალი – არლეკინი და 300-ლარიანი ფულადი პრემია გადაეცა II კურსის სტუდენტს ქეთი ტატიშვილს;
3. საუკეთესო სამსახიობო ეტიუდი გახდა „ბალერინა“, რომელშიც მონაწილეობდნენ II-კურსელები – ვანო მახარეიშვილი და სალომე ბენიძე;
4. საუკეთესო სარეჟისორო ეტიუდის წოდება მიიღო II კურსის სტუდენტმა გიორგი მაჭარაშვილმა ეტიუდით – „მადონა ნორისი“, სადაც მონაწილეობდნენ: ანანოიაშვილი, მარიკა ხუნდაძე, ანო ზურაშვილი, ბექა წილოსანი, ნოდარ იაკობაშვილი და ნოდარ მელაძე.
5. ხოლო გრანპრი გადაეცა ეტიუდს „ობენ“, I კურსი, რეჟისორი ვაჟა რამიშვილი, მონაწილეობდა ლევან სალარიძე.

თავისი სიმპათია, ასევე, გამოავლინა სტუდენტებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმაც. წლეგანდელი ფესტივალის სტუდენტური ჟიური იყო:

1. თეატრმცოდნე – ნუცა კობაძე;
2. მსახიობი – ლაშა ჯუნარაშვილი;
3. რეჟისორი – გიორგი ჩალაძე;

etiudebis festival i 2014

◀ 2 გვ.

მათ პრიზი გადასცეს სარეჟისორო ეტიუდს „დიდების თამაშები“, რეჟ: ანუკი ხიდაშელი, მონაწილეობდნენ: აგო ელიჯარაშვილი, გიორგი კავილაძე, გოგა გოგეშვილი და ნიკა შაუთიძე;

თუმცა ფესტივალი ამით არ დამთავრებულა, როგორც მოგეხსენებათ, უკვე მესამე წელია სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ამ ფესტივალის ორგანიზატორი, პრიზს გადასცემს თავის რჩეულს, წელს კი მისი რჩეული გახდა სამსახიობო ეტიუდი „სინმარი“, II კურსი, მონაწილეობდნენ: რატი ყულუშვილი, იურა ჩიტიშვილი, ირაკლი გრძელიშვილი და მაკო კახეთელიძე;

ასევე, ჩვენმა მხარდამჭერმა კომპანიებმა – სავაჭრო სახლმა „გოლეითანმა“, „ელიტ ელექტრონიკსმა“ და პარფიუმერულ მაღაზიათა

ქსელმა „ისი პარიზ“ სპეციალური პრიზები გადასცეს გამარჯვებულ ეტიუდებს, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით მათ.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო და მივულოცო თეატრის საერთაშორისო დღე ყველა მონაწილეს, შემოქმედებით და საორგანიზაციო ჯგუფს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მხარდაჭერისთვის და სტუდენტების წახალისებისათვის. იმედია, მომავალი წელი უფრო მასშტაბური იქნება „ეტიუდების ფესტივალისთვის“ და საერთაშორისო გახდება.

აქვე ვისარგებლებ და მოგილოცავთ თეატრის საერთაშორისო დღეს, ჩვენი თეატრი კვლავ სუნთქავს, ჩვენ კი თეატრს ვემსახურებით!

Tamar ZoweniZe


25 marts saqarTvel os SoTa rusTavel is Teatrisa da kinos saxel mwi fo universitetis meore administraciul korpusSi gamomceml oba kentavris axial i wignebis prezentacia Sedga

განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის და მინილ თუმანიშვილის ფონდის დამაარსებლის, ხელმძღვანელის, მწერლისა და მთარგმნელის – მანანა ანთაძე-ციციშვილის ერთობლივი იდეა: გამოიცეს პიესები, რომლებიც კონკრეტულად, ამა თუ იმ რეჟისორის სურვილით ქართულად ითარგმნა და განხორციელდა. ეს არის სპექტაკლებიდან ფოტოსურათებით გაფორმებული პატარ-პატარა წიგნების სერია, რომელშიც, ტექსტის გარდა, შემოქმედებითი დასის წევრების – მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსების და ა.შ ჩამონათვალი შევა.

27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს, მიეძღვნა სერიის პირველი ოთხი წიგნის გამოცემა. ეს გახლავთ მანანა ანთაძის თარგმანები: გიორგი მარგველაშვილისთვის მ. ჩხხოვის „ალუბლის ბაღი“ (დაიდგა თუმანიშვილის თეატრში 2006 წ.); მოლიერის „ღონ ყუანი“ მ. თუმანიშვილისთვის (დაიდგა კინომსახიობთა თეატრში 1981 წ.); დ. დოიაშვილისთვის შექსპირის „მაკბეთი“ და ედმონ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ (ორივე პიესა მუსიკისა და დრამის თეატრში დაიდგა 2009, 2011 წლებში).

დაგვემილია სერიის გაგრძელება, ქართულ თეატრში სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე, ცნობილი რეჟისორების დაკვეთით თარგმნილი

პიესების გამოცემა. ეს წიგნები დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სასურველი პროფესიის დაუფლებაში. ვიმედოვნებთ, სერია დიდ ინტერესს გამოიწვევს არა მარტო სახელოვნებო სფეროში მოღვაწე ადამიანებში, არამედ ფართო მკითხველშიც.



ღონ ყუანი



ალუბლის ბაღი



მაკბეთი



სირანო დე ბერჟერაკი



თბილისის შემოგარენში მცხოვრები დიდი თეატრალური მეცენატების – ფითოვეების გვარი 1801 წლიდანაა აღნიშნული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში. ისინი „გუბერნსკი სეკრეტარ“ იაგორ ალას ძე ფითოვეის შთამომავლები არიან, რომელსაც ქონების დაგროვება ყირიმის ომის დროს, მეფის რუსეთის ჯარის საკვებით მომარაგებით დაუწყია და აზნაურობაც მოუპოვებია. 1828 წლის მონაცემებით, ტფილისის ექვსი ქარვასლიდან ერთი ფითოვეისა იყო. მათვე ეკუთვნოდათ საფინანსო და სავაჭრო საზოგადოება „პიტოვეი“, სტამბა და გამომცემლობა ბარიატინსკის ქუჩის №8-ში, სამკერვალო და სადურგლო სახელოსნოები, ბაქოს ნავთობსარეწები და სხვა. მოგვიანებით მამას, ოჯახურ ბიზნესში თავისი ხუთი ვაჟი – კონსტანტინე, ისაია, გიორგი, ალექსანდრე და ივანეც ჩაურთავს, მაგრამ საფრანგეთში აღზრდილი ვაჟები თეატრით გატაცებულან, სამნი პარიზში დარჩენილან, ორნი – უფროსი ისაია და უმცროსი ივანე კი ტფილისში დაბრუნებულან.

თბილისში, ლერმონტოვის ქუჩის №20-ში მცხოვრები ისაია 1873 წელს საქართველოს დედაქალაქში ანტრეპრიზით ჩამოსულ, რუსეთში ცნობილი მარქსების მსახიობთა

დინასტიის შთამომავალზე – ოლღა სტანისლავის ასულზე დაქორწინდა. ოლღაც მსახიობობას აპირებდა, დებიუტით კიდეც წარსდგა მაყურებლის წინაშე, მაგრამ გათხოვების შემდეგ სცენა მიატოვა და საკუთარ სახლში დაარსებულ, ფითოველების 300-ადგილიან სამოყვარულო თეატრ „შტუკმაისტერებში“ განაგრძო მოღვაწეობა. თეატრს ჰყავდა დრამატული, საოპერო და საოპერეტო დასები და სამოყვარულო ორკესტრი, რომელსაც ცნობილი მუსიკოსი ა. მიზანდარი ხელმძღვანელობდა. ფითოვეის თეატრში მ.ფ. ჟელიაბუჟსკაია, ცვეტკოვა, დირიჟორი მ. იპოლიტოვ-ივანოვი, თბილისში მოღვაწე რუსული თეატრის მსახიობები – პალმა, პ. ოპოჩინინი და სხვები მუშაობდნენ. „შტუკმაისტერები“ სპექტაკლების გარდა დგამდნენ ცოცხალ

სურათებსა და აპოთეოზებს, მღეროდნენ, კითხულობდნენ ლექსებს, ავსებდნენ ალბომებსა და უშვებდნენ სატირულ ჟურნალს „რწყილი“. მოგვიანებით სპექტაკლები მათ საზაფხულო თეატრშიც წარმოადგინეს, შემოსავალს კი ქველმოქმედებას ახმარდნენ და სტიპენდიებს უნიშნავდნენ ხელმოკლე სტუდენტებს. არტისტულმა წრემ ალ.

გრიბოედოვის გარდაცვალების 50 წლისთავის აღსანიშნავად, გიორგი ერისთავთან ერთად, ლიტერატურული საღამო მოამზადა და ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ წარმოადგინა.

მასში ჩაცკის როლს დ. ერისთავი თამაშობდა. სცენის ტექნიკური აღჭურვილობა, დეკორაცია, კოსტიუმები, ბუტაფორია – ისაია ფითოვეის ხარჯით დამზადდა.

1885 წელს ისაია ფითოვემა დააარსა რუსეთის მუსიკალური საზოგადოების ტფილისის ფილიალი, 1887 წელს – „საარტისტო საზოგადოება“ და ძმებმა ერთად შეადგინეს „ტფილისის არტისტული წრის“ წესდება. შემდგომ ივანე ფითოვეი სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორად დაინიშნა და თბილისელი მაყურებელი ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, მუსორგსკის ოპერებს აზიარა. იგი საგასტროლოდ საუკეთესო რუსულ და უცხოურ დასებს, მომღერლებს იწვევდა. ივანე

isaiia fiToevi
(1844 – 1904)



isaia fiToevi

◀ 4 გვ.

ფითოვეის ვაჟმა – გიორგიმ ანუ ჟორჟ პიტოევმა, მომავალში ფრანგული „ოთხთა კარტელის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მამის მიერ აგებულ საოჯახო თეატრში დადგა კრილოვის იგავ-არაკები და ლერმონტოვის „დემონი“. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ იგი პარიზში გადასახლდა და ევროპას დიდი რუსი მწერლები – ჩეხოვი, ტოლსტოი, ბლოკი გააცნო.

ისაიაც და ივანეც გულუხვად მასპინძლობდნენ და ასაჩუქრებდნენ საქართველოს დედაქალაქის არტისტულ საზოგადოებას. მათოჯახს ხშირად სტუმრობდნენ პ. ჩაიკოვსკი, ა. რუბინშტეინი, მ. იპოლიტოვი-ივანოვი. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ივანე ფითოევმა პ. ჩაიკოვსკის ოქროთიმოვარაყებულის სპილოს ძვლის სადირიჟორო ჯონი უსახსოვრა, ანტონ რუბინშტეინს კი, „ბეკერის“ ფირმის თეთრი როიალი.

1897 წელს, ხანძარმა შთანთქა ფითოევების საოჯახო თეატრი და ისაიამ საარტისტო საზოგადოებისათვის დიდი შენობის აგება გადაწყვიტა. მისი თხოვნით, ქალაქის ხელისუფლებამ გენერალ-მაიორ ნ. რეიტერისა და მისი ძმისაგან, მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთი გამოისყიდა და 1898 წლის 18 (6) ნოემბერს, თეატრის შენობას საძირკველი ჩაუყარეს. ახალი სათეატრო შენობის ასაგებად არქიტექტორების – ა. შიმკევიჩისა და კ. ტატიშჩევის პროექტი შეირჩა. თეატრის მშენებლობა და მოწყობა ფითოევების სავაჭრო სახლს მილიონნახევარი ოქროს მანეთი დაუჯდა (სახაზინო თეატრი 750 ათასი დაჯდა). შენობის ფასადისა და შიდა სამუშაოების შესასრულებლად საგანგებოდ მოიწვიეს საუკეთესო იტალიელი და ბერძენი ოსტატები. შენობა სამსართულიანი იყო. პირველ სართულზე – მაღაზიები განლაგდა, მეორე და მესამე სართულებზე – „არტისტული საზოგადოება“, სარდაფში – რესტორანი „ანონა“.

„1901 წლის 6 თებერვალს, ნაშუადღევს 2 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, საზეიმოდ აკურთხეს ტფილისის „არტისტული საზოგადოების თეატრის ნაგებობა, რომელიც, აკადემიკოს ვ. ბერიძის თვალსაზრისით, „დღემდე ყველაზე საუკეთესო სათეატრო შენობაა თბილისში.“

„არტისტული საზოგადოების“ თეატრში XIX-საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკლექტიზმი აპოგეას აღწევდა. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა სხვადასხვა სტილში გადაწყვეტილი არქიტექტურული სპექტრი. 900-ადგილიანი სათეატრო დარბაზის

დამუშავებაში როკოკოს დამახასიათებელი ტალღის შედეგების მსგავსი და ნიჟარისებრი მოოქროვილი ორნამენტი, პატარა ამურების ნაძერწ ფიგურებთან და ნახატ სამკაულებთან ერთად, ქმნიდა პლაფონის, პორტალისა და ლოჟების ტრადიციულ სახეს, კარგად ცნობილს მრავალი ევროპული თეატრისათვის. საკონცერტო დარბაზი გადაწყვეტილი იყო ლუდოვიკო XV-ის სტილში და გოლოვინის პროსპექტზე გამოდიოდა. მცირე დარბაზი აგებულ იქნა დირექტორის, სასტუმრო დარბაზი მოდერნის, სასადილო – რენესანსის, სამკითხველო და სასტუმრო ოთახი – აღმოსავლურ სტილში. თეატრი აღიჭურვა მბრუნავი სცენით, რომლის ისტორიაც იმ დროისათვის რამდენიმე წელს ითვლიდა. იგი პირველად 1896 წელს მიუნჰენის რეზიდენც-თეატრში იქნა გამოყენებული, შემდეგ მცირე თეატრსა და სამხატვრო თეატრში, ხოლო ორი წლის შემდეგ მას „არტისტული საზოგადოების“ თეატრის დაპროექტებისას მიმართეს.

1901 წლის 6 თებერვალს, დღის პირველ საათზე, გოლოვინის პროსპექტზე საზეიმოდ აკურთხეს „ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ ახალი შენობა, რომელიც თავდაპირველად მრავალფუნქციური იყო და თეატრალური საზოგადოების საკლუბო დაწესებულებას წარმოადგენდა. 8 თებერვალს მოყვარულთა გუნდმა შეასრულა ჰიმნი „ღმერთო, ფარავდე მეფეს!“, შემდეგ წარმოადგინეს ცოცხალი სურათი სახელწოდებით „რუსეთის კვერთხის ქვეშ გაერთიანებული კავკასიის ხალხები“, მცირე ანტრაქტის შემდეგ კი, წარმოდგენილ იქნა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან!“. მასში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ოპოჩინინი, ბენიამინი, პანომოვი, ტოლუბევა. სპექტაკლის შემდეგ გამართულმა მეჭლისმა გვიან ღამემდე გასტანა.

„საარტისტო საზოგადოების“ შენობაში ქართული და რუსული დასები დამკვიდრდნენ. წარმოდგენები თითქმის ყოველ დღე იმართებოდა, ხშირად უჩვენებდნენ საბავშვო სპექტაკლებს, საფორტეპიანო თუ კამერული მუსიკის კონცერტებს; წარმოდგენების შემდეგ მაყურებელი სამეჭლისო დარბაზში ინაცვლებდასაცეკვაოდ. წარმოდგენებისაღამოს 8 საათზე იწყებოდა, კონცერტები – 9 საათზე. ანტრაქტები 15-20 წუთი გრძელდებოდა.

1901-1919 წლებში „არტისტული საზოგადოების თეატრში“ სპექტაკლებს დგამდნენ: ა. წუწუნავა, ა. ტუგანოვი, მ. შუხმინი,

➤ 6 გვ.

isaia fiToevi

◀ 5 გვ.

ნ. სმურსკი, ა. ბრიანცევი, პ. ჰაიდებუროვი, ვ. რაზსუდოვ-კულიაბკო, ა. ზინოვიევი, ა. უგრიუმოვი; მსახიობებად მოღვაწეობდნენ: ე. ვეიშანი, ს. მარქსი, მ. ბელეცკაია, მ. ფითოვეა-ბელეცკაია, ვ. თუმანოვი, კ. ტატიშჩევი, ა. ბაბინი, ა. ამალინი, პ. ოპოჩინინი, ვ. ვერესლევევი, ტ. ტამარინა, ე. გლობა, მ. პეტროვსკაია, ნ. სკარსკაია, გ. გალინსკი, ნ. პეტროვი, ზ. კირიევსკაია, მ. ბარუსინა, მ. სპირნოვა, გ. ავლი, ა. კუდრიავცევი, გ. ფითოვეი, დ. ვირუბოვი, ე. დონაური, ვ. იახონტოვი და სხვები. მხატვრებად მუშაობდნენ: გ. ტოლმაჩოვი, პ. დორონინი, პ. ჰაიდებუროვი, ს. მიაგოვი.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში „არტისტული საზოგადოების თეატრის“ სცენაზე დაიდგა: სოფოკლეს „ანტიგონე“, შექსპირის „ოტელო“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, გ. ჰაუპტმანის „მარტოსულნი“, ა. ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „უმზითვო“, „ტყე“, ნ. გოგოლის „რევიზორი“, „ქორწინება“, „შეშლილის წერილები“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, თ. დოსტოევსკის „იდიოტი“, ა. ჩეხოვის „სამი და“, ლ. ანდრეევის „ანათემა“, „შავი ნიღბები“, ფ. კორშის „მაჭანკალი“, „ორი ყმაწვილი“, ი. ბაბეცკის „სასიყვარულო თამაშები“, პ. ვოლფის „ქორწინება“, ნ. გნედიჩის „ხუტორზე“, ვ. ალექსანდროვის „ახალ ოჯახში“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, კ. ოსტეროვსკის „ახალი თაობა“, კნობლუხის „ფავნი“, ზუდერმანის „სამშობლო“, უაილდის „ლედი უინდერმის მარაო“ და სხვა.

„არტისტული საზოგადოების თეატრის“ ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვით სტ. და ვ. მარქსებს, ანტრეპრენიორს, რეჟისორსა და მსახიობს ა. იაბლოჩკინს, რომელიც საგანგებოდ მოიწვიეს მოსკოვის მცირე თეატრიდან. სწორედ თბილისის სცენაზე დაიწყო სამსახიობო მოღვაწეობა ა. ლენსკიმ, ო. პრავდინმა, ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა; აქ გასტროლებით იმყოფებოდნენ: გ. ფედოროვა, მ. ერმოლოვა, მ. სავინა, ვ. კომისარჟევსკაია, პ. სტრეპეტოვა, ვ. დავიდოვი, კ. ვარლამოვი, ნ. ორლენევი, პ. ლენსკი, ნ. ხოდოტოვი, ვ. დალმატოვი, ძმები ადელგეიმები.

1904-1905 წლების სეზონში „არტისტული საზოგადოების თეატრის“ სცენაზე სპექტაკლებს მართავდა „ახალი დრამის ამხანაგობა“ ვს.

მეიერხოლდის ხელმძღვანელობით.

ისაია ფითოვეი, ოცი წლის მანძილზე მისთვის განკუთვნილი ადგილიდან ადევნებდა თვალყურს წარმოდგენის მსვლელობას. ერთ-ერთ სპექტაკლზე იგი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და გარდაიცვალა. 1904 წლის 25 აპრილს, მოღვისის ეკლესიაში (დღევანდელი



ლესელიძის ქუჩაზე), მას ანდერძი აუგეს და დასაფლავეს ხოჯივანქის სასაფლაოზე.

1921 წლის 25 ნოემბერს, საქართველოს რევკომის დადგენილებით თბილისში არსებულ „არტისტული საზოგადოების თეატრს“ შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა და მას სათავეში კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა. თეატრის მთელი შენობა ქართულ დასს გადაეცა. ისაია ფითოვეას ასული მარგარიტა ფითოვეა კი 1927 წლამდე რუსთაველის თეატრის გარდერობს განაგებდა.

Tamar quTaTel aZe

სწავლავთა სვეტი

meqsikuri xel ovnebis gamofena
erovnul muzeumSi



ჩანახატი გამოფენის გახსნაზე ანუ „აი რა არის?!“

დაკეტილია, შესვლა 17:00-ზე დაიწყება და ჩვენც ველოდებით ამ საოცარ 17 საათს... გალერეასთან შეიკრიბნენ ლურჯთმიანი გოგო, გემოვნებით ჩაცმული ბიჭი, პიჯაკიანები, რიგითი მოქალაქეები. „რა გამოფენა?!“ – გაისმა საიდანღაც დასმული კითხვა.

ჩვიდმეტ საათზე ყველანი დარბაზისკენ დავიძარით, ხალხი მიმოიფანტა... საოცრებაა, 5 წუთიც არ დასჭირდათ ერთი დარბაზის სანახავად: წამებში ნანახი რუფინო ტამაიო, გვერდით ჩავლისას შემჩნეული დიეგო რივერა და დარბაზის ბოლოს წაკითხული „რაფა – მექსიკის ხატვის სკოლა XX-XXI საუკუნეები“... უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ, ეს იყო მექსიკის ხელოვნება, რომელიც საკმაოდ შორს აღმოჩნდა ჩემი არსებებისაგან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიფინა და ალბათ


მრავალი ადამიანი შთააგონა, განაცვიფრა... ჩემთვის კი ეს იყო მექსიკელების სახეები, განსხვავება სახის წყობასა და კანის ფერს შორის, სხვადასხვა მხატვრის აშკარად განსხვავებული მანერა: ზოგისაკმაოდ თავისუფალი დამარტივად გასაგები, ნაკლებად დატვირთული. „პატარა მაიმუნები“ და საკმაოდ გადატვირთული „ბოსტნეულის ფორმები“. მკვეთრი ფერებით გაერთიანებული მინიმალისტური ნახატი და ფიგურებით გადაჭედილი კომპოზიციები, უცნაური ქანდაკება – არანაირი წარწერა – მხოლოდ ქართველი რიგითი მოქალაქის კომენტარ-კითხვა: „აი რა არის?!“

გამოფენა 2 მაისამდე გახსნას და კიდევ ბევრ „აი რა არის?!“ მოისმენს მანამ, სანამ საბოლოოდ დაიხურება საქართველოში.

Tamar siWinava,
ხელოვნებათმცოდნეობის II კურსი

meqsikuri xel ovnebis gamofena erovnul muzeumSi

◀ 7 ოპ.



მექსიკის ხელოვნება: აღქმის მრავალფეროვნება

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში 2014 წლის 28 თებერვალს გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „მექსიკის ხელოვნება: აღქმის მრავალფეროვნება“, სადაც დამთვალიერებლებს გვეძლეოდა საშუალება, გავცნობოდით მექსიკურ კულტურასა და მხატვრობას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე მექსიკური ხელოვნების 54 ექსპონატი, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლო სამი ათწლეულით თარიღდება და მოიცავს XXI საუკუნესაც. წარმოდგენილი ექსპონატები შეიცავს მექსიკურ ხელოვნებაში არსებულ ახალ მიმდინარეობებს. ერთ-ერთია რაფა, რომელიც ჩამოყალიბდა 1950 წელს და მისი მიმდევრების დამახასიათებელი ნიშანია, ასახონ თავიანთი შინაგანი სამყარო, რაც გულისხმობს მათ სუბიექტურ ემოციებს. ისინი ცდილობენ, ეს ყველაფერი გადმოსცენ თანამედროვე მხატვრული საშუალებებით.

მეორე მიმდინარეობაა ნეომექსიკანიზმი. ამ მხატვართა ნამუშევრები ეხმიანება იმ დროისთვის მექსიკურ ტრადიციულ

კულტურაში არსებულ კრიზისს და იყო ერთგვარი პროტესტის გამოხატვის საშუალება. ისინი აპროტესტებდნენ იმ დროის არსებულ რეალობას, რაც სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდებოდა.

გარდა რაფასა და ნეომექსიკანიზმისა, ექსპონაცია წარმოგვიდგენს სხვა მიმართულებებსაც. როგორც ჩანს, თანამედროვე მექსიკური მხატვრობა მიმდინარეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გამოფენა გვიჩვენებს მექსიკური ხელოვნების ინდივიდუალურობას, როგორც ფერწერის, ასევე ქანდაკების მხრივ და ჩვეულებრივი დამთვალიერებელი ამას მარტივად ამჩნევს. ნამუშევრები გამოირჩეოდნენ ფერებისა და სიუჟეტთა მრავალფეროვნებით, ასევე შესრულების მანერით და ხელოვანის მიერ გამოყენებული ნაირგვარ მასალათა სიუხვით. აქ შეხვდებით ისე თ მასალებს, როგორებიცაა ლითონი, გაზეთის ფურცლები, ბოთლის თავსახური, ხე და სხვა. ძირითადად, წარმოდგენილი სურათები შესრულებული იყო ტილოზე ზეთით, ასევე ხშირად გვხვდებოდა აკრილით შესრულებული სურათები. მაგალითად, როგორიც იყო გაბრიელ დე ლა მორას „იესოს წმინდა ფილიპე“ (2000წ.), დულჩე მარია ნუნისის „განკაცებული ღმერთი“, ხესუს ურბიეტას „ნილაბი“ (1994წ.), მასალის ორიგინალობით გამოირჩეოდა ალბერტო გირონელას ნამუშევარი „პატივის მიგება ზაპატასთვის“ (1991წ.), ეს უკანასკნელი შესრულებულია ხეზე და გამოყენებულია ლუდის ბოთლების თავსახური, ასევე ორიგინალურია ხის ნაჭრებზე აკრილით შესრულებული ნამუშევარი ჰექტორ დე ანდას „პარალელური ინტელექტი“ (2006წ.), ხოლო მათიას გორიტციმ თავისი „იბლბის მომტანი წვიმა“ (1984წ.) გამოხასია ლითონზე,



meqsikuri xel ovnebis gamofena erovnul muzeumSi

◀ 8 გვ.



რელიეფით.

ჩემთვის ერთგვარი აღმოჩენა იყო, ტექნიკის თვალსაზრისით, იოლანდა ანდრადეს უელატინით და ვერცხლით ქალაქში შესრულებული სურათი სახელწოდებით „როგორც შენ მხედავ მე, შენც ისეთივე გამოჩნდები“ (1990წ.).

გარდა ამ ორიგინალური გამომსახველობის

საშუალებებისა, იყო ტრადიციული ტექნიკით შესრულებული სურათები. მაგალითად, გუაშით ქალაქში შესრულებული ნამუშევარი, მარია დელ კამპოს „მთვარის სიმღერა“, სადაც იგრძნობოდა მხატვრის ორიგინალური წარმოსახვის უნარი სიუჟეტის გადმოსაცემად. ზეთით ტილოზე დახატა რაფაელ კორონელიმ „კაცი, რომელიც გადასახადებს არ იხდის“. ამ სურათზე ნეიტრალურ მწვანე და მოწითალო ფონზე გამოსახულია მამაკაცი, რომელსაც აკიდებული აქვს ტომარა, რითაც გვექმნება წარმოდგენა, რომ ეს კაცი მიიპარება ქვეყნიდან ან ქალაქიდან. ხოლო ხოსე ლუის ნოველომ უსათაურო სურათების ტურის ნამუშევარი შეასრულა ქალაქში ოფორტის ტექნიკით. კარლა რიბეის „უჩიტანების ოჯახი“ (2000წ.) შესრულებულია ცარციით ქალაქში. აქ სამი ფიგურაა გამოსახული და სამივე ქალია. აღნიშნული ნამუშევარი შავ-თეთრია და ტრადიციული პორტრეტებისაგან განსხვავებით, მასზე დახატული ფიგურებიდან ორს სახე და თავი დასრულებულად არ უჩანს.

როგორც ხედავთ, მექსიკურ ხელოვნებას ახასიათებს მრავალფეროვნება და კრეატიულობა. ამ გამოფენის მიზანია – ქართველმა დამთვალიერებლებმა გაიცნოს მექსიკური კულტურა და ხელოვნება. მისი ნახვის საშუალება 2014 წლის 2 მაისამდე გვექნება.

GeTevan mWavari ani,
ხელოვნებათმცოდნეობის
II კურსი

f siqol ogiis gakveTil ebi grZel deba

ჩვენ, პედაგოგებს, საგნის სწავლების გარდა, სხვა ამოცანებიც გვამოძრავებს:

- 1. სტუდენტის დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნების სტიმულაცია.**
- 2. სტუდენტის მიერ საკუთარი პიროვნების შეცნობა და გახსნა.**
- 3. და რაც მთავარია, სტუდენტმა უნდა დაიჯეროს, რომ ის უნიკალურია ისევე, როგორც თითოეული პიროვნებაა უნიკალური. და ისიც დაიჯეროს, რომ მას ძალუძს რაღაც ფასეულის შექმნა და თავისი შესაქმით ქვეყანას ემსახუროს.**

პედაგოგი მანანა მაჩაბელი

➤ 10. გვ.



fsiqol ogiis gakveTil ebi grZel deba

◀ 9 გვ.

როგორ ვახერხებთ კონფლიქტიდან თავის დაღწევას?

კონფლიქტიდან თავის დაღწევის ხერხები ინდივიდუალურია. კონფლიქტის მომწიფება, მისი მიმდინარეობის სიმძაფრე, სისწორე პიროვნების ხასიათზეა დამოკიდებული. ხასიათს ხშირად ჩვევა აყალიბებს, ჩვევას კი – აღზრდა. თუკი პიროვნება ბავშვობიდანვე მიჩვეულია სხვისი ინტერესების უგულვებელყოფას და შესაბამისად „გამარჯვებას“, ის არც მომავალში დაიკლებს კონფლიქტურ სიტუაციას.

ადამიანთა გარკვეული კატეგორიისთვის დაპირისპირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. კონფლიქტი მათ ვიტალური ძალების აღდგენაში ეხმარება. ეს არის ერთგვარი შვება, განტვირთვა, მოღუწება. შესაძლოა, მათ უფრო მძაფრად შეუყვარდეთ ერთი ძლიერი, სიტყვიერი „სეტყვის“ შემდეგ (რა თქმა უნდა, ნეგატიურ სიტყვიერ დაპირისპირებას ვგულისხმობ). არსებობენ, ეგოისტი შურისმაძიებლები. მათ გაღიზიანებისას უნდა ვერიდოთ, დავტოვოთ ეს ადამიანი მარტო, სანამ ჩვენი ფსიქიკა მწყობრშია. საკმარისია მცირე ბიძგი, გონს მოუსვლელად დაგესმებათ ეს ადამიანი თავს. ბრაზობს, ყვირის, უმიზეზოდ ამტყრევს კარებს, ცდილობს აციულოთ „თამაში“, უცდის თქვენს გაღიზიანებას. მისთვის შვება მხოლოდ ორმხრივ ღრიალს, კონფლიქტს მოაქვს.

კითხვა – სანამ კონფლიქტი ღია სტადიაზე გადავა, დაპირისპირება ცხად სახეს მიიღებს, როგორ მივხვდეთ, რომ პიროვნება (უფროსი, კოლეგა, მეზობელი) გაბრაზებულია?

პასუხი – გაფითრებული სახე, გაფართოებული თვალები, შეჭმუხნილი შუბლი, აზიდული წარბი ან თავის არიდება, „სასხვათაშორისო“ ურთიერთობა.

ამ დროს, შეიკავებ თავი კითხვებისგან, გაუღიმიე და დაემშვიდობე. უკიდურეს შემთხვევაში, სახლში ერთი-ორი თეფში დაილეწება ან ბავშვებს შემოულაწუნებენ და კონფლიქტიც დასრულდება.

საინტერესოა, რატომ გროვდება ერთ კონკრეტულ პიროვნებაში ათი ადამიანისთვის სამყოფი აგრესია, რა განაპირობებს კონფლიქტისადმი მუდმივ მიდრეკილებას? ჩემი აზრით – არასრულფასოვნება, ზედმეტი თავდაჯერებულობა, ნებიერი ხასიათი, ცუდი ზეგავლენა და უფრო კომპლექსური პრობლემაც.

პირადად ჩემთვის, წამების ტოლფასია მუდმივად გაღიზიანებულ, გაბრაზებულ ადამიანთან ურთიერთობა. ორმაგი ტანჯვაა,

როდესაც თავად ხარ ამ გაღიზიანების მიზეზი. გამოსავალი? მირჩევნია, თავად ვიყო ნაწყენი, ვიდრე სხვა. მთელი არსებით ვერიდები დაპირისპირებას, ვითმენ, ნებისყოფას „უკანასკნელ ფიალამდე“ ვძაბავ, სიტყვიერ შეურაცხყოფას სიჩუმით ვპასუხობ, სახის ნაკვთების ოდნავი ცვლილებით, უკიდურეს შემთხვევაში კი – ღიმილით. ხშირად მიფიქრია: ბედნიერებაა, როდესაც შეგიძლია იყვირო ხმის ჩახლენამდე, თქვა სიმართლე, ბედნიერებაა ეს ღროული, იმ წუთიერი „დაცლა“.

მე კი ვიტან დიდ ხანს და ვფეთქდები დიდი ხნის შემდეგ, როდესაც არა მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას ვგრძნობ, მეტსაც...

ვფიქრობ, მარტივია ჩემთან ურთიერთობა, თუკი მეცხრედ არ გამაბრაზებენ, ამ წუთამდე არავის ემუქრება საფრთხე...

უბედურებაა, კონფლიქტის მომწიფების პერიოდი, ვცდილობ, მოთმინებით გადავავადო ეს სიმწიფე, თავს ვიმშვიდებ, რომ აღრე თუ გვიან ეს ადამიანი თავად მიაგნებს საკუთარ შეცდომებს, უადგილო გაღიზიანების მიზეზს და საერთოდ, ურთიერთობის არსს. თითქმის ყოველთვის მჭეროდა, რომ ის აუცილებლად იგრძნობდა სინანულს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. თმენის საფასურად მეტი შეურაცხყოფა მივიღე. ამ ადამიანებს სჯერათ, რომ თმენა დანაშაულის აღიარებაა. არაფერს ამბობ, ისევ იღიმი? – დამნაშავე ხარ. მეც ასე მგონია, დამნაშავე ვარ, რადგანაც ძალიან ბევრს ვითმენ.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტების გარდა, ადამიანს საკუთარი ფსიქიკაც უქმნის საფრთხეს. შინაგანი ბრძოლის განცდა ერწყმის უკმაყოფილებას და გვაფორიაქებს. მერყევი ხასიათი, გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, სუსტი ნებისყოფა, ვერ გარკვევა საკუთარ თავში, დამატებით პრობლემებს გვიქმნის.

მარტივად, ვთქვათ, დავგეგმეთ ეგვიპტეში მოგზაურობა, სანამ ავიაბილეთებს ვიყიდით, ვფიქრობთ, იქნებ შვედეთში გამგზავრება უმჯობესია, ეგვიპტე მომავალი ზამთრისთვის ხომ არ გადამედო?! ან სულაც, იქნებ რიოში წავსულიყავი... არა, არა რომი, იტალია, ფანტასტიკურია, მაგრამ ეგვიპტე, იქნებ პირამიდები მენახა?! და ასე, დიდხანს ვებრძვით საკუთარ ფიქრებს, ფანტაზიებსა და წარმოსახვებს. ჩვენი წარმოდგენები კი ხშირად მატყუარაა და რეალობასთან დაშორებული. ბავშვობიდან მაღიზიანებს თევზჭერის პროცესი, მგონია, რომ ძალიან მტკივნეულია ნემსკავი..

ეს მაგალითი დალხენილი ცხოვრებიდანაა. ჩემს რეალობაში საფიქრალი და განსასჯელი არაფერია, მე რიომდე, ნუნისს დავლაშქრავდი სიამოვნებით. ბევრი თქვენგანი ალბათ იტყვის,

fsiqol ogiis gakveTil ebi grZel deba

◀ 10 გვ

ღმერთმა ამაზე მეტი არ გამიჭირვოსო, მაგრამ ზოგისთვის გაჭირვებაცაა და დამაბრკოლებელი ფაქტორიც.

ვფიქრობ, სინანულიც კონფლიქტის ნაირსახეობაა. ნანობ, მაგრამ ამართლებ საკუთარ თავს, არაცნობიერი კი გზლუდავს და გაფორიაქებს (არც ისე მარტივადაა საქმეო). მოვიდა სინანული, შვებას უნდა გრძნობდე, შენ კი ვერ გრძნობ, ვერც იგრძნობ, სანამ თავს

იმართლებ და თუკი არ გაიმართლებ თავს, გამოდის, რომ თავად ხარ დამნაშავე, არარაობის განცდა კი მაინც გაგტანჯავს.

მთავარი კითხვის პასუხი კი ასეთია, რა თქმა უნდა, მიყვარს საკუთარი თავი, მაგრამ დათმობა დათმობის წინაპირობა მგონია (არადა, სულ ტყუილად).

Tekl e qarosaniZe,

ტელე-რადიო ჟურნალისტიკა,

III კურსი.

11.03.2014

პოეზია

მე და მე

(პოეტის პოეზია)

როცა ისტორია იგება,
ადამიანთა წლები ბერდება.
როცა პოეტი წერს ლექსებს,
მისი ცხოვრების წამები იზრდება.
ყოველი წუთი ძვირფასია,
- ასევე ყოველი წამიც.
ყოველი წვეთი ძვირფასია,
- ასევე ყოველი წამიც.
როცა პოეტი ჭეშმარიტებას
დაინახავს პოეზიაში,
მის საკვებს ველარ იპოვით
ვერცერთ მაღაზიაში.
თუ ინტერესით შეაღებ პოეზიის კარს,
მაშინ ველარ გაწყვეტ მასთან საუბარს.
როდესაც პოეტი გესაუბრება პოეზიაზე,
ის არის პოეზიის პანმელიაზე.
ფიქრები ფიქრებით შენდება,
ნამდვილი ჭეშმარიტება არასდროს ბერდება.
პოეტმა დაინახა თავისი გზა,
მან მისი მომავალი უკვე შეთხზა.

მე მინდა, რომ ...

მე არ მინდა სინარული უღევი,
მე არ მინდა გრძნობა გადარეული,
მე არ მინდა ცივ ღამეში თბილად ვსვამდე
კარგ ღვინოს,
მაშინ როცა ჩემს მეზობელს ცივად,
მწარედ, ეძინოს.
მე მინდა, რომ ყველაფერი იყოს
კეთილგულიანი,
მე მინდა, რომ ქვეყანა იყოს სამართლიანი,
მე მინდა, რომ ეს რითმები იყოს მუდამ უღევი.
საღლაც შორს, რომელიღაც ქვეყანაში
დაიღუპა ბიჭი უსამართლო გარჩევაში,
მერე ძმები გაბოროტნენ და
ინდომეს შურისძიება,
მაგრამ მათ არ იცოდნენ გულში
კეთილის ძიება.
მე მინდა, რომ ყველა იყოს კეთილგულიანი,

მე მინდა, რომ ეს ქვეყანა იყოს სამართლიანი,
მე მინდა, რომ აქ ყველა იყოს გამგებიანი,
მე მინდა, რომ აქ ყველას თამამად
უწოდოთ ჭკვიანი.
მე მინდა, რომ ყველა სიკეთის
კეთებას ცდილობდეს.
მე არ მინდა, რომ აქ ვიღაც ვიღაცას
უკნიდან ბრწყინდეს,
მე მინდა, რომ ჩემი ლექსები დროში
არ ჩაიწვენენ,
მე მინდა, რომ ჩემი ლექსები ყველასათვის
საყვარელ ლექსად იქცნენ.

სიყვარულია... სიყვარულია...

- სიყვარული რა არის?
- არაფერი.
- ნუთუ არ იცი, სიყვარული რა არის?
- ხომ გითხარი, არაფერი-თქო, არაფერი.
- ცდები, სიყვარული არის ყველაფერი.
სიყვარული გემოა გემრიელის!
სიყვარული ადრე თუ გვიან ყველას ელის,
სიყვარული მთელი ცხოვრებაა.
დედის სიყვარული კონტინენტს ცდება,
შვილი ამას საფლაგშიც კი ხვდება!
სიყვარულით ღმერთი ღმერთობს!
სიყვარულით ადამიანი ადამიანობს!
- გაიგე, რომ სიყვარული ყოფილა
ყველაფერი?
- კი, მაგრამ სიყვარული თუ არაა?
- უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელია!
- უსიყვარულოდ ცხოვრება გადამწვარი ველია,
ამ ქვეყნად არაფერია მარადიული.
ყველა და ყველაფერი კვდება, მაგრამ მაინც არ
კვდება სიყვარული.
პოეტისთვის სიყვარული არ იქნებოდა
რითმებზე მეტი, ქვეყნად არ იქნებოდა
ამდენი შემოქმედი.
- ახლა ხვდები, რომ სიყვარული ყველაფერია?
- კი! ნამდვილად ასეა.
- ასეა, შენ კი ამბობ: „არაფერია, არაფერია“.
რას იფიქრებდი, რომ ცხოვრება სიყვარულით
სავსეა.

➤ 12. გვ.



ტაფუ

← 11 გვ.

სად არის ცუდი გზა –
 გავყვე?
 სად არის ცუდი მომავალი –
 წავყვე?
 სად არის საზიზღარი მდებარეობა?
 ყველა ჩემთვის მინდა.
 მეკუთვნის, მეკუთვნის ასეთია ცხოვრება.
 სად არის ბოროტება?
 ჩემს თავზე ვიღებ.
 სად არის დაცინვა?
 დაჩაგვრა მომეცით – ჯოჯოხეთში ყველას
 მე წავიღებ.

აჰა ჩემი პატიოსნება –
 ყველას გეყოფათ.
 აჰა ჩემი გულწრფელობა –
 ყველას გეყოფათ!
 სად არის სიყვარული ნატანჯებით?
 მომეცი – გაგათავისუფლებ.
 აჰა ჩემი წმინდა გრძნობები.
 სად? სად არიან უსწავლელნი და უნიჭოები?
 აჰა ჩემი ნიჭი, სწავლა კი თქვენზე იყოს,
 რომ დაწეროთ პოემები.

სად არის ოჯახდანგრეულები?
 მე მხოლოდ განუგეშებთ, ოჯახში
 მეც ვბნელდები.

სად არის მარტოობით დაღამებული ბავშვობა?
 აჰა წაიღეთ, შვიდწლიანია, მაგრამ ყველას
 გეყოფათ, ესაა ჭეშმარიტი გრძნობა.
 სად არის მოუნათლავი ერი?
 მომეცით, ყველაფერს მე ვიბრალებ, თქვენ რომ
 არ გყავდეთ ანგელოზებში მტერი.

სად არის თქვენი ხატი და ჯვარი?
 მეც რომ არა მაქვს, რა მოგცეთ?!
 აჰა წაიღეთ ჩემი რწმენა,
 – ესაა ყველაზე მთავარი.

მომეცით, ყველაფერი ცუდი მომეცით.
 აჰა, რაც კარგი მაქვს, ყველაფერში გაგიცვლით.
 აჰა, რაღა მოგცეთ, არაფერი მაქვს,
 არც სიყვარული, ის არც მქონდა.
 ჩემს მონატრებას არასოდეს ჰქონდა
 ორმხრივად გადაკრული.

აჰა, წაიღეთ ტანსაცმელიც, წაიღეთ, ვინც
 გარეთ ხართ, ეგებ ეს ზამთარი გაათრიოთ
 კუბოს ფიცარზე.
 არ მჭირდება ეგ სითბო – საფლავისკენ.

TinaTin emirize
 ხელოვნებათმცოდნეობის I კურსის
 სამხატვრო აკადემია

2014 wl is 18-19 i vni ss gaimar Teba Teatr is a da kinos universi tet is VII yovel wl i uri samecni ero konferencia

კონფერენციის პრიორიტეტული თემაა პოსტსაბჭოთა პერიოდის ხელოვნება და მედია

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესორებს, მკვლევარებს, დოქტორანტებს, რომელთა სამეცნიერო ინტერესები ემთხვევა ჩვენი კონფერენციის თემატიკასა და მიმართულებებს.

კონფერენციაზე იმუშავებს თავისუფალი სექციებიც, რომელთა თემატიკა არ შემოიფარგლება აღნიშნული პერიოდით და დარგებით. თავისუფალი სექციები იქნება კულტურული ტურიზმისა და ხელოვნების მენეჯმენტის მიმართულებით, ასევე ხელოვნებისა და მედიის სფეროს იმ მოხსენებებისთვის, რომლებიც არ ჯდება პრიორიტეტულ თემატიკაში. კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული თემატური კონფერენციის მასალები გამოქვეყნდება V ტომში კრებულით „XX საუკუნის ხელოვნება“, ხოლო არათემატური სექციების შერჩეული მასალები – კრებულში „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“.

მოთხოვნები და პარამეტრები:
 თეზისები და მოხსენებები უნდა გადმოიგზავნოს ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
 თეზისები ქართულად არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს.
 თეზისები ინგლისურად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 გვერდისა.
 ქართული შრიფტი აკად. ნუსხური, ინგლისურისთვის Times New Roman
 ზომა 12, და შორება 1,15.
 მოხსენება არ უნდა აჭარბებდეს 6 გვ-ს.

კონფერენციის ორგანიზატორია
 ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, პროფესორი ნატო გენგიური
 ტ. 577 94 70 03; 593 24 42 78.
 ელ-ფოსტა: tafu_conference@tafu.edu.ge;
 natogengiuri@gmail.com

ქართული და ინგლისური თეზისების წარმოდგენის ბოლოვადაა 20 აპრილი, ხოლო სრული მოხსენებებისა – 20 მაისი.